ქართული ენა და ლიტერატურა

საატესტატო გამოცდის ნიმუშები:

1. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება *ხელი შეუწყო?*

ა) გართობას.
ბ) დამშვიდებას.
გ) დახმარებას.
დ) მოწონებას.

2. რომელ წინადადებაში *არ არის* ორთოგრაფიული შეცდომა?

ა) ვიფიქრე, გავისეირნებ-მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.
ბ) ვიფიქრე, გავისეირნებ მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.
გ) ვიფიქრე, გავისეირნებმეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

3. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) ბიჭი მარტო დარჩა და მწარედ ატირდა.
ბ) ვახშამი უხალისოდ გრძელდებოდა.
გ) უნებლიედ მათი საუბარი გავიგონე.
დ) ცხოვრება დუნედ მიედინებოდა.

4. გარდაცვალების წინ დედოფალმა შუშანიკმა თქვა: „უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკუანაისკნელი ესე მეათერთმეტეი მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“. ***რა* იგულისხმა შუშანიკმა, როდესაც თავი ვენახის მეთერთმეტე ჟამის მუშაკს შეადარა?**

ა) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, ამიტომ ის თავს არ მიიჩნევს ღვთიური მადლის ღირსად.
ბ) შუშანიკის ღვაწლი მოკრძალებულია, მაგრამ ღვთიური მადლი მასაც ისევე მიენიჭება, როგორც პირველმოწამეებს.
გ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე განუზომლად დიდია, ისევე, როგორც პირველმოწამეებისა.
დ) შუშანიკის ღვაწლი ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე – პირველმოწამეებისა.

5. გაიხსენეთ დავით გურამიშვილის ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“. *როდის* გაიხარებს მევენახე („მწიდნავი“)?

ა) როდესაც ვენახს გასხლავს.
ბ) როდესაც მოსავალს მოიწევს.
გ) როდესაც ყურძენს დაწურავს.
დ) როდესაც შრომას შეიმსუბუქებს.

6. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფი ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“:

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე – ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,

მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

რა არის „კეთილი მეფის“ საზრუნავი?

ა) სახელის მოხვეჭა.
ბ) სიკეთის მოხვეჭა.
გ) სიმდიდრის მოხვეჭა.
დ) ძალაუფლების მოხვეჭა.

7. **მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:** „ჯაყო თეიმურაზის მამულს გარს უვლიდა და, ვითარცა უპატრონო ქონებისა და თავისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე, გააფთრებული გაჰკიოდა: – ჩემია! ჩემია!“ **ჯაყოს რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?**

ა) მოკრძალება.
ბ) მომხვეჭელობა.
გ) უპრინციპობა.
დ) უსაქმურობა.

შეფასების სქემა:

1. ---------- გ); **2.** ---------- ა); **3.** ---------- გ);

4. ---------- ბ); **5.** ---------- ბ); **6.** ---------- ა); **7.** ---------- ბ).